ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N73/გ

27 ივნისი 2016 წელი

ქ. მცხეთა

ერთის მხრივ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ზურაბ აბესაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ტექნო ბუმი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ეთერ ქოქოლაძის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 2 ერთეული მაცივარის შესყიდვა (CPV39700000).ინვოისი თან ერთვის.

2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა 2016 წლის 05 ივლისის ჩათვლით ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის დღიდან;

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 998 (ცხრაასოთხმოცდათვრამეტი) ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორები. მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მომწოდებელი” კისრულობს ვალდებულებას:
4.1.1 მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.
4.2 „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას.
4.2.1 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
5.3 საქონლის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მომწოდებელს“ არ აუნაზღაუროს საქონლის ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

6.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს მოახდენს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის, ქონების მართვის განყოფილების უფროსი ოთარ ჩიღოშვილი.

7, ხელშეკრულების ძალაში შესვლა

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

8.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ფორს – მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
10.2 თუ „მომწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. სხვა პირობები

11.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
11.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
11.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

„მიმწოდებელი"	„შემსყიდველი"
შპს „ტექნო ბუმი"	მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
ს/კოდი: 205286199	ს/კოდი: 236098824
სს „ლიბერთი ბანკი"	ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ LBRTGE22	ბ/კ TRESGE22
ა/ა GE64LB0113120312402001	ა/ა GE24NB0330100200165022
მის: თბილისი, ვაჟა ფშაველას 30ა	მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. N7
ტელ: 2 43 01 02	
დირექტორი	მუნიციპალიტეტის გამგებელი
ე. ქოქოლაძე	ზ. აბესაძე